საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/92

ქ. ბათუმი 05 მაისი, 2023 წელი

„ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“
ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 24 აპრილის N447272 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების N1 დანართში, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ზ“ ქვეპუნქტი .
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მარეგულირებელი აქტების ველში და „საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებში“).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს.
4. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესის გაცნობა პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**